პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 282 (11893) | ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

**დღეს „კომუნისტში“ ქვეყნდება განცხადება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირისა, რომელიც გაიმართა 1960 წლის ნოემბერში ქალაქ მოსკოვში.**

**თათბირში მონაწილეობა მიიღეს 81 პარტიის დელეგაციებმა.**

**„თათბირის მონაწილეებს, - ნათქვამია ერთხმად მიღებულ განცხადებაში, — მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე კომუნისტური პარტიების შემდგომი შეკავშირება მიაჩნიათ მუშათა კლასის მთელი ძალების, დემოკრატიისა და პროგრესის ძალების გაერთიანების უმნიშვნელოვანეს პირობად, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ახალ გამარჯვებათა საწინდრად მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის მის დიად ბრძოლაში“.**

# კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება

## I.

ჩვენ ეპოქა, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, არის ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის ნგრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე ახალი და ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა.

**ჩვენი დროის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება.**

სოციალიზმის ძალა და უძლეველობა ამ უკანასკნელ ათეულ წლებში დამტკიცებულია ახალ სამყაროს და ძველ სამყაროს შორის გიგანტურ შეტაკებებში. ჩაიფუშა იმპერიალიზმისა და მისი დამკვრელი ძალის — ფაშიზმის ცდები ომის გზით შეეფერხებინათ ისტორიული განვითარების მსვლელობა. იმპერიალიზმი უძლური აღმოჩნდა გზა გადაეღობა სოციალისტური რევოლუციებისათვის ევროპასა და აზიაში. სოციალიზმი მსოფლიო სისტემა გახდა. იმპერიალიზმი ცდილობდა შეეფერხებინა სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური ზრდა. ეს ზრახვები ჩაიფუშა. იმპერიალიზმმა ყოველი ღონე იხმარა, რათა კოლონიური მონობის სისტემა შეენარჩუნებინა. მაგრამ ეს სისტემა ინგრევა. რაც უფრო მტკიცდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, მით უფრო გადაჭრით იცვლება საერთაშორისო ვითარება დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ხალხების სასარგებლოდ.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მთავარ შინაარსს, მთავარ მიმართულებასა და მთავარ თავისებურებებს განსაზღვრავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლი ძალები. იმპერიალიზმის ვერავითარი მეცადინეობა ვერ შეაჩერებს ისტორიის განუწყვეტელ განვითარებას. შექმნილია სოციალიზმის შემდგომ გადამწყვეტ გამარჯვებათა მტკიცე წანამძღვრები. სოციალიზმს სრული გამარჯვება გარდუვალია.

საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობა ადასტურებს ლენინურ განკვეტილებას, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნები მსოფლიო რევოლუციის განვითარებაზე თავიანთ მთავარ ზემოქმედებას ახდენენ სამეურნეო მშენებლობით. სოციალიზმმა უმაგალითო შემოქმედებითი წარმატებები მოიპოვა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და ადამიანთა ახალი, თავისუფალი თანამეგობრობის შექმნაში, თანამეგობრობისა, რომელიც უფრო უზრუნველყოფს მათს მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს. ახლოვდება დრო, როცა მსოფლიო წარმოების ხვედრითი წონის მიხედვითაც სოციალიზმი პირველ ადგილს დაიკავებს. კაპიტალიზმი დამარცხდება ადამიანის საქმიანობის გადამწყვეტ სფეროში —მატერიალური წარმოების სფეროში.

სოციალისტური სისტემის განმტკიცება და განვითარება სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა ბრძოლაზე. თავისი მაგალითის ძალით სოციალიზმის მსოფლიო სისტემა არევოლუციურებს კაპიტალისტური სამყაროს მშრომელთა გონებას, აღფრთოვანებს მათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, დიდად ადგილებს ამ ბრძოლის პირობებს. კაპიტალის ქვეყნებში მრავლდება და მტკიცდება შინაგანი ძალები, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან მშვიდობა და ეროვნული დამოუკიდებლობა, უზრუნველყოფ დემოკრატიის ზეიმი, სოციალიზმის გამარჯვება.

მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას მოედო დაქვეითებისა და ანარქიის ღრმა პროცესი. იმპერიალიზმის წინააღმდეგობებმა დააჩქარეს მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად. აძლიერებს რა მონოპოლიების ბატონობას ერების ცხოვრებაზე, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი მონოპოლიების ძალას აერთიანებს სახელმწიფოს ძალასთან ერთიან მექანიზმად კაპიტალისტური წყობილების გადარჩენისათვის, იმპერიალისტური ბურჟუაზიის მოგების მაქსიმალური გადიდებისათვის მუშათა კლასის ექსპლოატაციისა და მოსახლეობის ფართო ფენების ძარცვის საშუალებით.

მაგრამ არ არსებობს ისეთი საშუალებანი, რომელთა დახმარებით მონოპოლისტურ ბურჟუაზიას შეეძლოს კაპიტალიზმის გადარჩენა. ერთი მუჭა მონოპოლიების ინტერესები შეურიგებელ წინააღმდეგობაში არიან მთელი ერის ინტერესებთან. მკვეთრად გამწვავდა კლასობრივი და ეროვნული ანტაგონიზმები, კაპიტალისტური საზოგადოების შინაგანი და გარეშე წინააღმდეგობანი. მილიტარიზმით კაპიტალიზმის ძირმომპალი საყრდენების გამაგრების ცდები კიდევ უფრო ამწვავებენ ამ წინააღმდეგობებს.

არასოდეს კაპიტალისტურ სამყაროში კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის არ ყოფილა ესოდენ ღრმა. კაპიტალიზმი სულ უფრო მეტად აბრკოლებს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებას სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის. იგი ადამიანის გენიის აღმოჩენებს მიმართავს თვით კაცობრიობის წინააღმდეგ, აქცევს მათ გამანადგურებელი ომის მრისხანე საშუალებებად.

იზრდება კაპიტალისტური ეკონომიკის მერყეობა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში მეტნაკლებად არის წარმოების გარკვეული ზრდა, კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი გაუხრლად მწვავდებიან როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ვერ მოასწრეს რა გადაელახათ ამასწინანდელი ეკონომიური კრიზისის ყველა შედეგი, მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები აღმოჩნდნენ ახალ ეკონომიურ შერყევათა საფრთხის წინაშე. სულ უფრო ღრმავდება კაპიტალისტური წარმოების ანარქიული ხასიათი. უმაგალითოდ ძლიერდება კაპიტალისტური კონცენტრაციის პროცესი, იზრდება მონოპოლიების მოგება და ზემოგება. ახალი ფორმებით, უწინარეს ყოვლისა შრომის ინტენსიფიკაციის გზით, მონოპოლისტურმა კაპიტალმა განუზომლად გააძლიერა მუშათა კლასის ექსპლოატაცია. ავტომატიზაციასა და „რაციონალიზაციას“ კაპიტალიზმის პირობებში მშრომელებისათვის მოაქვს ახალი უბედურება. მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლით შეძლო მუშათა კლასმა ცალკეულ ქვეყნებში მიეღწია მთელი რიგი თავისი საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში კი ცხოვრების დონე კვლავ ომამდელზე დაბალია. ბურჟუაზიის დაპირებათა მიუხედავად, მხოლოდ ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში და მხოლოდ დროებით განხორციელდა სრული დასაქმება. მონოპოლიების ძალმომრეობას სულ უფრო მეტი ზიანი მოაქვს გლეხთა ფართო მასებისა და წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ფართო ფენების ინტერესებისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის ზოგიერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც, კვლავ არსებობს და კიდევაც ფართოვდება ეკონომიურად სუსტად განვითარებული რაიონები, რომლებშიც მასების სიღატაკე განსაკუთრებით დიდია.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ აბათილებს ბურჟუაზიული იდეოლოგებისა და რევიზიონისტების მონაჟორებს, რომ თანამედროვე

ამ წლების მთავარი შედეგია მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერებისა და საერთაშორისო გავლენის სწრაფი ზრდა, აქტიური პროცესი კოლონიური სისტემის დაშლისა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარტყმებით, კლასობრივი ბრძოლების ზრდა კაპიტალისტურ სამყაროში, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შემდგომი დაქვეითება და დაშლა. მსოფლიო ახალრაზზე სულ უფრო იჩენს თავს სოციალიზმის ძალების უპირატესობა იმპერიალიზმთან შედარებით, მშვიდობის ძალებისა—ომის ძალებთან შედარებით.

მაგრამ იმპერიალიზმი, ცდილობს რა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები, საბოტაჟს უწევს განიარაღების საქმეს, ისწრაფვის გაახანგრძლივოს და ყოველნაირად გაამწვავოს „ცივი ომი“, ჯიუტად ამზადებს ახალ მსოფლიო ომს. ამიტომ ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვს, რომ უფრო მჭიდროდ გაერთიანონ ღონისძიებანი და გადაჭრით იმოქმედონ სოციალისტურმა ქვეყნებმა, საერთაშორისო მუშათა კლასმა, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ეროვნულმა ანტიიმპერიალისტურმა მოძრაობამ, მშვიდობისათვის ყველა მებრძოლმა ომისათვის, რომ თავიდან აიცილონ ომი და უზრუნველყონ ადამიანთა მშვიდობიანი ცხოვრება. ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვს მეელი რევოლუციური ძალების შემდგომ შემჭიდროებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

## I.

კაპიტალიზმი ვითომდა გადაიქცა „სახალხო კაპიტალიზმად“, შექმნა ეგრეთწოდებული „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“, რომელსაც შეუძლია „გადალახოს წარმოების ანარქია და ეკონომიური კრიზისები და უზრუნველყოს ყველა მშრომელთა კეთილდღეობა.

კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა სულ მუდამ ცვლის ძალთა თანაფარდობას იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. რაც უფრო ვიწროვდება იმპერიალისტური ბატონობის სფერო, მით უფრო ძლიერ იჩენენ თავს წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. უმაგალითოდ გამწვავდა ბაზრის პრობლემა. ახალი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც „ინტეგრაციის“ ლოზუნგით წარმოიშობიან, სინამდვილეში იწვევენ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა და ბრძოლის გაძლიერებას, წარმოადგენენ კაპიტალისტთა მსხვილ კავშირებს შორის მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის გაყოფის ახალ ფორმებს, სუსტი პარტნიორების ეკონომიკაში უფრო ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფოების შეღწევის ახალ ფორმებს.

კაპიტალიზმის ლაჩარ უდიდესი ძალით იჩენს თავს თანამედროვე იმპერიალიზმის მთავარ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალი აძღავნებს აშკარა უუნარობას გამოიყენოს არსებული საწარმოო ძალები. ყველაზე მდიდარი ქვეყანა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის — ამერიკის შეერთებული შტატები — გახდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქრონიკული უმუშევრობის ქვეყანა. ამ ქვეყანაში მუდმივი მოვლენა გახდა მრეწველობის მზარდი დაუტვირთაობა. სამხედრო ასიგნებათა უდიდესი ზრდის მიუხედავად, რაც ხორცელდება მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითების ხარჯზე, წარმოების ზრდის ტემპები ომისშემდგომ წლებში ნელდება და ოდნავ უსწრებს მოსახლეობის ზრდას. გახშირდა ჭარბწარმოების კრიზისები. კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებული სამრეწველო ქვეყანა გადაიქცა ყველაზე მანინჯი მილიტარიზებული ეკონომიკის ქვეყნად. ამერიკის შეერთებული შტატები ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაზე მეტად ქაჩავენ სიმდიდრეს აზიისა და განსაკუთრებით ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, აბრკოლებენ მათს განვითარებას. ძლიერდება ამერიკის კაპიტალის შეღწევა აფრიკაში. **ამერიკის იმპერიალიზმი ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ექსპლოატატორი გახდა.**

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ისწრაფვის თავის ბატონობას დაუმორჩილოს ბევრი სახელმწიფო და მთავარ სამუალებად აყენებს სამხედრო ბლოკებსა და ეკონომიური „დახმარების“ პოლიტიკას. იგი არღვევს აგრეთვე განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების სუვერენიტეტს. დიდად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებულ მონოპოლისტურ ბურჟუაზიას, რომელიც დუკავშირდა ამერიკის იმპერიალიზმს, მსხვერპლად მიაქვს თავისი ქვეყნების სუვერენიტეტი და იმედი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მხარდაჭერით ჩაახშოს რევოლუციური განმათავისუფლებელი ძალები, მოუსპოს მშრომელებს დემოკრატიული თავისუფლებანი, ხელი შეუშალოს ხალხის მასების ბრძოლას სოციალური პროგრესისათვის. ამერიკის იმპერიალიზმი ამ ქვეყნებს აბამს გამალებულ შეიარაღებაში, ახალი აგრესიული ომის მზადებისა და სოციალისტური და ნეიტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის განხორციელების პოლიტიკაში.

კაპიტალისტური წყობილების საყრდენები ძირმომპალია იმდენად, რომ ბევრ ქვეყანაში მმართველ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას აღარ ძალუძს დამოუკიდებლად გაუწიოს წინააღმდეგობა დემოკრატიისა

**მოსკოვი, კრემლი. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ხელს აწერს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას.**

ფოტო ა. უსტინოვისა.

და პროგრესის ძალებს, რომლებიც იზრდებიან და ირაზმებიან, იმპერიალისტები ერთიანდებიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებად და ირიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რათა ერთად იბრძოლონ სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ, ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი, მუშათა და სოციალისტური მოძრაობა. **უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ამბების მსვლელობამ მოგვცა ომის ბევრი ახალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამერიკის იმპერიალიზმი არის მსოფლიო რეაქციის მთავარი დახავრდნილი და საერთაშორისო ჟანდარმი, მთელი მსოფლიოს ხალხთა მტერი.**

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შექმნილი სამხედრო ბლოკების სისტემა სუსტდება როგორც მთა მონაწილეთა შორის ბრძოლით, ისე ასეთი ბლოკების ლიკვიდაციისათვის მასების ბრძოლის შედეგად. ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ განამტკიცონ აგრესიული ბლოკები, რაც იწვევს მასების კიდევ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას. ამერიკის შეერთებული შტატები რჩებიან თანამედროვე იმპერიალიზმის მთავარ ეკონომიურ, ფინანსურ და სამხედრო ძალად, თუმცა მათი ხვედრითი წონა კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკაში მცირდება. ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებენ თავიანთი პოზიციებიდან შენარჩუნებისათვის. აძლიერებენ ექსპანსიას დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის მონოპოლიები, რომლებმაც აღადგინეს თავიანთი ძლიერება და რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ამერიკის მონოპოლიებთან. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები ახორციელებენ თავიანთ იმპერიალისტურ პოლიტიკას და სულ უფრო აქტიურად ისწრაფვიან ექსპლოატაცია გაუწიონ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს.

ხალხები სულ უფრო მტკიცედ იარაზმებიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩაღდება გრანდიოზული ბრძოლა შრომისა და კაპიტალის, დემოკრატიისა და რეაქციის, თავისუფლებისა და კოლონიალიზმის ძალების შორის. კუბაში ღრმად ხალხური რევოლუციის გამარჯვება შესანიშნავი მაგალითი გახდა ლათინური ამერიკის ხალხებისათვის. უძლეველი ძალით გაჩაღდა ანტიკოლონიური მოძრაობა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აფრიკაში. წარმატებით დამთავრდა ანტიიმპერიალისტური ეროვნული აჯანყება ირაყში. ხალხის მასების მძლავრი მოძრაობა იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის გაჩაღდა იაპონიაში. მშრომელთა საბრძოლო მტკიცე გადაწყვეტილებას მოწმობს ხალხის მასების აქტიური გამოსვლები იტალიაში დემოკრატიის დასაცავად. ძლიერდება ბრძოლა დემოკრატიისათვის, პიროვნული ხელისუფლების რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ საფრანგეთში. მუშათა დიდი გაფიცვები გაჩაღდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, ურუგვაიში, ჩილეში, ინდოეთში, ინგლისში, კანადაში, ბელგიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მასობრივი ხდება ზანგი ხალხის გამოსვლები თავიანთი ცხოვრების უფლებებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. იზრდება მისწრაფება ეროვნული ძალების გაერთიანებისადმი ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ესპანეთსა და პორტუგალიაში, მტკიცდება დემოკრატიული მოძრაობა სპარეთში. დამხობილია სამხედრო-ტირანული რეჟიმები კოლუმბიასა და ვენესუელაში, ლაბვარი ჩაეცა აშკარა პრომერიკულ

მარიონეტულ მთავრობებს სამხრეთ კორეასა და თურქეთში. ხალხური ვიეტნამსა და ლაოსში ბრძოლა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც მიმართულია ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ. ინდონეზიელი ხალხი სპობს თავის ქვეყანაში დარჩენილ იმპერიალისტთა ეკონომიურ პოზიციებს, განსაკუთრებით ჰოლანდიელ კოლონიზატორთა პოზიციებს. ფართოვდება და ყველა კონტინენტზე ვრცელდება მასობრივი მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. ყოველივე ეს თვალსაჩინოდ აფიქრებს, რომ ანტიიმპერიალისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტისამხედრო და კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო ძლიერდება.

სოციალიზმის გამარჯვება ევროპისა და აზიის ქვეყნების დიდ ჯგუფში, რომელიც მოიცავს კაცობრიობის მესამედ ნაწილს, სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალების მძლავრი ზრდა მთელ მსოფლიოში და იმპერიალიზმის პოზიციების განუხრელი შესუსტება ეკონომიურ შეჯიბრებაში სოციალიზმთან; ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი მძლავრი აღმავლობა და კოლონიური სისტემის სულ უფრო სწრაფი დაშლა, მსოფლიო მეურნეობის მთელი კაპიტალისტური სისტემის მერყეობის ზრდა; კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებისა და მილიტარიზმის ზრდის შედეგად; წინააღმდეგობათა გაღრმავება მონოპოლიებსა და მთელი ერის ინტერესებს შორის; ბურჟუაზიული დემოკრატიის შეკვეცა, მართვის ავტოკრატიული და ფაშისტური მეთოდების ტენდენციები, ბურჟუაზიული პოლიტიკისა და იდეოლოგიის ღრმა კრიზისი — ასეთია იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ **კაპიტალიზმის ხაერთო კრიზისის განვითარებაში დაიწყო ახალი ეტაპი.** ამ ეტაპის თავისებურება ის არის, რომ იგი წარმოიშვა არა მსოფლიო ომთან დაკავშირებით, არამედ ორი სისტემის შეჯიბრებისა და ბრძოლის, სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის სულ უფრო მეტად შეცვლის, იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავების ვითარებაში, ისეთ პირობებში, როცა მშვიდობისმოყვარე ძალების წარმატებითმა ბრძოლამ მშვიდობიანი თანაარსებობის განხორციელებისა და განმტკიცებისათვის საშუალება არ მისცა იმპერიალისტებს ჩაეშალათ თავიანთი აგრესიული მოქმედებით საყოველთაო მშვიდობა, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ხალხის ფართო მასების ბრძოლის აღმავლობის ვითარებაში.

იმპერიალისტური ჩაგრვისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ერთიანდებიან მთელი რევოლუციური ძალები. ხალხები, რომლებიც აშენებენ სოციალიზმსა და კომუნიზმს, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, საერთოდემოკრატიული მოძრაობანი — თანამედროვეობის მთელი ეს დიადი ძალები ერთიანდებიან ერთ საერთო ნაკადად, რომელიც ძირს უთხრის და ანგრევს მსოფლიო იმპერიალისტურ სისტემას. თანამედროვე ეპოქის ცენტრშია საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი პირმშო — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. ისინი წარმოადგენენ გამარჯვების საწინდარს მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში.

## II.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა თავისი განვითარების ახალ ეტაპაზე შევიდა. საბჭოთა კავშირი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას. სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები წარმატებით უყრიან საფუძველს სოციალიზმს, ზოგიერთი მათგანი კი უკვე შევიდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში.

მთელი სისტემის მასშტაბით სოციალიზმმა გადამწყვეტი გამარჯვებანი მოიპოვა. ეს გამარჯვებანი მოწმობენ მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებას და ნათლად უჩვენებენ კაპიტალის უღელქვეშ მყოფ ყველა ხალხს, რომ ამ მოძღვრების საფუძველზე მოწყობილი საზოგადოება უსაზღვრო შესაძლებლობებს ქმნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, ადამიანთა ცხოვრების მაღალი დონის, მათი მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა ხალხი, წარმატებით ასრულებს რა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმას, სწრაფი ტემპებით ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საბჭოთა მეცნიერებამ მთელი ეპოქა დაიწყო მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, დასაბამი მისცა კოსმოსის ათვისებას, ცხადყო სოციალისტური ბანაკის ეკონომიური და ტექნიკური ძლიერება. საბჭოთა კავშირი ისტორიაში პირველია, რომელიც კომუნიზმის გზას უკვალავს მთელ კაცობრიობას. იგი ყველაზე მკაფიო მაგალითი და ყველაზე ძლიერი ბურჯია მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის მათს ბრძოლაში მშვიდობის, დემოკრატიული თავისუფლებების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

ჩინეთის სახალხო რევოლუციამ გამანადგურებელი ლაბვარი ჩასცა იმპერიალიზმის პოზიციებს აზიაში, უაღრესად შეუწყო ხელი მსოფლიო ძალების თანაფარდობის შეცვლას სოციალიზმის სასარგებლოდ. მან ახალი მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და უდიდესი გავლენა მოახდინა ხალხებზე, განსაკუთრებით აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებზე.

სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა ალბანეთმა, ბულგარეთმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ჩინეთმა, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მონღოლეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, რომლებმაც დიდ საბჭოთა კავშირთან ერთად მძლავრი სოციალისტური ბანაკი შექმნეს, უმოკლეს ისტორიულ ვადაში უდიდესი წარმატებები მოიპოვეს სოციალიზმის მშენებლობაში.

სახალხო ხელისუფლებამ ამ ქვეყნებში ცხადყო თავისი ურყევი სიმტკიცე. სახალხო მეურნეობაში გადატონებულ როლს ასრულებს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, სამუდამოდ მოსპობილია ან წარმატებით ისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმატებითმა განხორციელებამ გამოიწვია სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის აყვავება, რომლებიც თავიანთ მეურნეობას გაციელებთ უფრო სწრაფად ავითარებენ, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები. ყველა ამ ქვეყანამ განვითარებული მრეწველობა შექმნა; ქვეყნები, რომლებიც წარსულში აგრარული იყვნენ, ინდუსტრიულ-აგრარულნი გახდნენ ან ხდებიან.

სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე უკვე გადაწყდა ის წარმატებითი წყდება სოციალისტური მშენებლობის ყველაზე ძნელი საკითხი — გლეხების ნებაყოფლობითი გადასვლა წვრილი კერძომესაკუთრული მეურნეობის გზიდან მსხვილი კოოპერაციული სოციალისტური მეურნეობის გზაზე. ლენინურმა კოოპერაციულმა გეგმამ დაამტკიცა თავისი დიადი ცხოველმყოფელობა როგორც ამ ქვეყნებისათვის, სადაც არსებობდა მიწის კერძო საკუთრებისადმი გლეხთა ღრმა მიდრეკილების ხანგრძლივი ტრადიცია, ისე ამ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოუღეს ბოლო ფეოდალურ ურთიერთობას. განმტკიცდა მუშათა და გლეხთა ძმური კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომლის მხარდაჭერა და განმტკიცება, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია. სოციალიზმის მშენებლობის მსვლელობაში ორი მშრომელი კლასის ეს კავშირი, რომელიც სოციალისტური წყობილების პოლიტიკური საფუძველია, განუწყვეტლივ ვითარდება და ხელს უწყობს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით სახალხო ხელისუფლების შემდგომ განმტკიცებას და გლეხობის ნებაყოფლობითი კოოპერიების ლენინური პრინციპის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას.

ისტორიული ცვლილებები მოხდა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში აღარ არიან შემამულეთა და კაპიტალისტთა კლასები. საზოგადოების მთავარი ძალა გახდა მუშათა კლასი, იზრდება მისი რიგები, ამაღლდა შეგნებულობა და პოლიტიკური სიმწიფე. სოციალიზმმა გლეხობა გამოიყვანა საუკუნეობრივი გაჭირვებიდან და გადააქცია იგი საზოგადოებრივი პროგრესის აქტიურ ძალად. იქმნება ახალი სოციალისტური ინტელიგენცია—მშრომელი ხალხის ხორცი ხორცთაგანი, ყველა მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია ეზიაროს ცოდნისა და კულტურას. ამრიგად, სოციალიზმმა შექმნა არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე მატერიალური პირობები საზოგადოების კულტურული განვითარებისათვის, ადამიანის ნიჭისა და უნარის ყოველმხრივი და სრული გაფურჩქვნისათვის. ეკონომიკის წარმატებით განვითარების საფუძველზე განუწყვეტლივ მაღლდება ხალხის მასების ცხოვრების მატერიალური დონე.

მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ყველა ეროვნების მშრომელთა ურღვევი კავშირი. სოციალიზმის ქვეყნებში მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი, ეროვნებათა ნამდვილი თანასწორუფლებიანობა, მათი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობა შთამაგონებელი მაგალითია ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტურმა იდეოლოგიამ შესამჩნევი წარმატებები მოიპოვა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლას ხანგრძლივი ხასიათი აქვს და გაგრძელდება მანამდე, სანამ ადამიანთა შეგნება საკუთრივ არ განთავისუფლდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთებისაგან.

საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც ისტორიაში პირველად წარმოიშვა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირში, ახლა იზრდება სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც. ეს შესაძლებელს ხდის საუკეთესოდ გამოვიყენოთ თავისუფალ მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია საწარმოო ძალების აღმავლობისა და სოციალისტური საზოგადოების აყვავების ინტერესებისათვის.

სოციალისტური საზოგადოება განუწყვეტლივ უმჯობესდება, სულ უფრო მომწიფებული ხდება, მასში ყოველდღიურად წარმოიშობა კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი და მომავალი კომუნისტური საზოგადოების სხვა ელემენტები. სულ უფრო უმჯობესდება სოციალისტური ეკონომიკის ხელმძღვანელობისა და ეკონომიური დაგეგმვის მეთოდები. შემდგომ ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, ფართოვდება ხალხის მასების მონაწილეობა სამეურ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

# კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ნიერ და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, სახელმწიფოს ძალიერი ფუნქციები თანდათანობით გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში.

**ახლა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც ლიკვიდირებულია კაპიტალიზმის რესტავრაციის სოციალურ-ეკონომიური შესაძლებლობანი. სოციალისტური ბანაკის გაერთიანებული ძალები საიმედოდ უზრუნველყოფენ ყოველ სოციალისტურ ქვეყანას იმპერიალისტური რეაქციის მხრივ ხელყოფისაგან. ამრიგად, სოციალისტური სახელმწიფოების შეკავშირება ერთიან ბანაკად, ამ ბანაკის ერთიანობა, რომელიც მტკიცდება, და განუწყვეტლივ მზარდი ძლიერება უზრუნველყოფენ სოციალიზმის სრულ გამარჯვებას მთელი სისტემის ჩარჩოებში.**

განვლილ წლებში მუშათა კლასისა და გლეხობის გმირული შრომის, კომუნისტური და მუშათა პარტიების უდიდესი მუშაობის შედეგად შექმნილია ფრიად ხელსაყრელი ობიექტური შესაძლებლობანი საწარმოო ძალების შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის, დროის მაქსიმალური მოგებისა და სოციალიზმის ქვეყნების გამარჯვების მიღწევისათვის კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, რომლებიც სათავეში უდგანან სოციალისტურ სახელმწიფოებს, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ უნარიანად და სწრაფად გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი.

კომუნისტურმა პარტიებმა, მოიპოვეს რა დიდი გამარჯვებანი და განვლეს რა სერიოზული განსაცდელი, შეიძინეს სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება. სოციალიზმის ქვეყნებისა და მთელი სოციალისტური ბანაკის წარმატებანი მიღწეული იყო სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებათა სწორი გამოყენების მეოხებით, ამასთან გათვალისწინებული იყო ყოველი ქვეყნის ისტორიული თავისებურებანი და მთლიანად სოციალისტური სისტემის ინტერესები, მიღწეულ იყო ამ ქვეყნების ხალხთა მეცადინეობის, მათი მჭიდრო ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთ ინტერნაციონალური დახმარების მეოხებით, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ძმური, ინტერნაციონალური დახმარების მეოხებით.

სოციალისტური ქვეყნების განვითარების გამოცდილება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ მათი მიღწევების და წარმატებების უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პირობაა: ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების ყველა უპირატესობის გამოყენება. იმპერიალისტები, რენეგატებისა და რევიზიონისტების ვარაუდი, რომ შესაძლებელია გათიშვა სოციალისტურ ბანაკში, აგებულია ქვიშაზე და განწირულია ჩაიშალოს ადგილ. ყველა სოციალისტური ქვეყანა თვალსაჩინივით უფრთხილდება სოციალისტური ბანაკის ერთიანობას.

სოციალიზმის მსოფლიო ეკონომიური სისტემა გაერთიანებულია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ერთობით და ვითარდება სოციალიზმის ეკონომიური კანონების საფუძველზე. მისი წარმატებით განვითარების ინტერესები მოითხოვენ: სოციალისტურ მშენებლობაში გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის თანმიდევრულად გამოყენებას; ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას; შრომის საერთაშორისო განაწილების სისტემის განუწყვეტელ გაუმჯობესებას, სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩარჩოებში ნებაყოფლობის, ურთიერთსარგებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლების საფუძველზე; კოლექტიური გამოცდილების შესწავლას; თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების განმტკიცებას; ამ საფუძველზე ეკონომიური განვითარების დონეებში ისტორიულად შექმნილი განსხვავებათა თანდათანობით დაძლევას და მატერიალური ბაზის შექმნას კომუნიზმზე სოციალისტური სისტემის ყველა ხალხის ცოტად თუ ბევრად ერთდროულად გადასვლისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკის საფუძველზე შეძენილია მთელი სოციალისტური ბანაკის კოლექტიური გამოცდილება. ბოძმე პარტიების მიერ ამ გამოცდილების ყოველმხრივი შესწავლა, მისი შემოქმედებითად გამოყენება და გამდიდრება კონკრეტულ პირობათა და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით თვითეული სოციალისტური ქვეყნის განვითარების გარდუვალი კანონია.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს თავიანთი ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ის, სწორი ტემპებით ავითარებენ რა თვითეული ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არსებულ შესაძლებლობათა შესაბამისად, მთლიანად გამოიყენონ სოციალისტური სისტემის ყველა უპირატესობა და თვითეული ქვეყნის შინაგანი რესურსები, რათა ერთობლივი მეცადინეობით და უმოკლეს ვადაში გადაჭრან ისტორიული ამოცანა — გაუსწორონ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამსოლუტური მოცულობის მხრივ, ხოლო ამის შემდეგ გაუსწორონ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დონისა და ცხოვრების დონის მხრივ. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა განუხრელად გაუმჯობესდეს პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა, განუწყვეტლივ გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდები, საჭიროა მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული სოციალისტური გაძღოლა, შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიღება განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. მეურნეობის გეგმიანი წარმოება, მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპების განუხრელი დაცვა და შრომის მორალური სტიმულების ყოველი ღონისძიებით განვითარება სოციალიზმის საკეთილდღეოდ მასების პოლიტიკური შეგნების ამაღლების გზით, შრომისა და მოხმარების ზომისადმი კონტროლის განხორციელება.

კომუნიზმზე სოციალისტური ქვეყნების გადასვლის აუცილებელი მატერიალური საფუძველია წარმოების მაღალი დონის შექმნა უახლესი მოწინავე ტექნიკის, სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ბაზაზე, ეროვნულსა და ადამიანურ ეროვნულ-ეროვნულ ქვეს კომუნისტური საზოგადოებისათვის საჭირო მოხმარების საგნების სიუხვე. ამ საფუძველზე უნდა განვითარდეს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, ყოველი ღონისძიებით ამაღლდეს ხალხის მასების პოლიტიკური შეგნება, აღიზარდოს ახალი, კომუნისტური საზოგადოების ადამიანი.

სოციალისტური ბანაკი არის სოციალური ეკონომიური და პოლიტიკური თანამეგობრობა თავისუფალი სუვერენული ხალხებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობის მტკიცე კავშირით, საერთო ინტერესებისა და მიზნების ერთობით და რომლებიც მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით. სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის ტრადიციული კანონია ძმა-ბოლშევიკურ-ლენინიზმის პრინციპების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მტკიცედ დაცვა. სოციალისტურ ბანაკში უზრუნველყოფილია მასში შემავალი თვითეული ქვეყნის ნამდვილი თანასწორუფლებიანობა და დამოუკიდებლობა. ხელმძღვანელობენ **რა** სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპებით. სოციალისტური სახელმწიფოები აუმჯობესებენ ყოველმხრივ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ თანამშრომლობას, რაც შეესაბამება როგორც თვითეული სოციალისტური ქვეყნის, ისე მთლიანად სოციალისტური ბანაკის ინტერესებს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა იმ მარქსისტულ-ლენინურ, დებულების პრაქტიკული დადასტურება, რომ კლასების ანტაგონიზმის დაცემასთან ერთად ეცემა ერების ანტაგონიზმი, კაპიტალისტური წყობილების კანონების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ახასიათებს ანტაგონისტური წინააღმდეგობანი კლასებსა, ერებსა და სახელმწიფოებს შორის, რასაც მოსდევს სამხედრო შეტაკებანი, სოციალისტური სისტემის ბუნებაში არ არის ობიექტური მიზეზები წინააღმდეგობებისა და კონფლიქტებისათვის მასში შემავალ ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის, მის განვითარებას მოსდევს სახელმწიფოებისა და ერების სულ უფრო მეტი შეკავშირება, მათი თანამშრომლობის ყველა ფორმის განტკიცება. სოციალიზმი ორგანულად შეხამებულია ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, სახელმწიფოებრიობის განვითარება მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებისა და განვითარების ინტერესებთან, ერების უფრო მეტ შეკავშირებასთან. მთელი სოციალისტური სისტემის ინტერესები და ეროვნული ინტერესები ჰარმონიულად შეხამებულია. ამ საფუძველზე წარმოიშვა და განმტკიცდა დიდი სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. პოლიტიკური იზოლაციისა და ეროვნული ეგოიზმის ნაკლოვანად, რაც კაპიტალიზმს ახასიათებს, მოვიდა ხალხთა ძმური მეგობრობა და ურთიერთდახმარება, რაც სოციალისტურმა წყობილებამ წარმოშვა.

სოციალიზმი ეროვნული ქვეყნების ხალხთა საერთო ინტერესები, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის ინტერესები მოითხოვენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის პრინციპების სწორ შეხამებას პოლიტიკაში. თვითეულ კომუნისტურ პარტიას, რომელიც მმართველი პარტია გახდა სახელმწიფოში, ეკისრება ისტორიული პასუხისმგებლობა როგორც თავისი ქვეყნის, ისე მთელი სოციალისტური ბანაკის ბედისათვის.

1957 წლის დეკლარაციაში სავსებით სწორად არის აღნიშნული, რომ ეროვნულ თავისებურებათა როლის გაზვიადება, სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტებისაგან დაცილება ზიანს აყენებს სოციალიზმის საერთო საქმეს. ამასთან ერთად დეკლარაციაში აგრეთვე სავსებით სწორად აღნიშნულია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვს სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საერთო პრინციპების შემოქმედებითად გამოყენებას თვითეული ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით. შეუწყნარებლად მიიჩნია სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების პოლიტიკისა და ტაქტიკის მექანიკური გადმოღება. ჭოლეტარიული პარტიის მიერ ეროვნულ თავისებურებათა უგულებელყოფას შეიძლება მოჰყვეს მისი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, მასებისაგან, ზიანი მიაყენოს სოციალიზმის საქმეს.

ნაციონალიზმისა და ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებანი არ ქრებიან ავტომატურად სოციალისტური წყობილების დამკვიდრებასთან ერთად. სოციალიზმის ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის საჭიროა კომუნისტური და მუშათა პარტიების მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალისტური პოლიტიკა, ყველა მშრომელის აღზრდა პატრიოტიზმთან ინტერნაციონალიზმის შეხამების სულისკვეთებით. გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების დაძლევისათვის.

**კომუნისტური და მუშათა პარტიები დაუცხრომლად ზრდიან მშრომელებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყველა გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. კომუნისტები და მუშათა პარტიები, სოციალისტური ქვეყნების ხალხების შეკავშირება. ერთიანობა, მათი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი თვითეული სოციალისტური ქვეყნისა და მთლიანად სოციალისტური ბანაკის ძალისა და უძლეველობის მთავარი წყაროა.**

სოციალისტური ქვეყნების ხალხები, რომლებიც კომუნიზმის გზას ადგანან, ანალიზ საზოგადოების პირველსახეს უქმნიან მთელ კაცობრობას. კაპიტალისტური სამყაროს მშრომელები დიდი დაინტერესებით ადევნებენ თვალყურს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას შემოქმედებითს მოგებაწერობას. ეს სოციალისტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინურ პარტიებსა და ხალხებს აკისრებს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის.

კომუნისტურ და მუშათა პარტიებს თავიანთი ამოცანად ის მიაჩნიათ, რომ დაუცხრომლად განამტკიცონ ხალხთა დიადი სოციალისტური თანამეგობრობა, რომლის საერთაშორისო როლი და გავლენა მსოფლიო მოვლენების მსვლელობაზე წლითიწლითი იზრდება.

**დადგა დრო, როცა სოციალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც მსოფლიო სისტემა შექმნეს, გახდნენ ინტერნაციონალური ძალა, რომელიც ძლავრ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო განვითარებაზე. გაჩნდა რეალური შესაძლებლობანი, რომ თანმიდიროვნობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები გადაიჭრას ახლებურად, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.**

## III.

ჩვენი დროის ყველაზე მწვავე პრობლემაა ომისა და მშვიდობის პრობლემა.

ომი კაპიტალიზმის მუდმივი თანამგზავრია. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სისტემა და ადამიანის მიერ ადამიანის მოსპობის სისტემა კაპიტალისტური წყობილების ორი მხარეა. იმპერიალიზმმა უკვე თავს დაატეხა კაცობრიობას ორი გამანადგურებელი მსოფლიო ომი და ახლა ემუქრება მოუვლინოს მას კიდევ უფრო საშინელი კატასტროფა. შექმნილია მასობრივი მოსპობისა და ნგრევის საშინელი საშუალებები. ახალ ომში ამ საშუალებათა გამოყენებამ შეიძლება უმაგალითო წგრევა მიაყენოს მთელ ქვეყნებს და ნანგრევებად აქციოს მსოფლიო წარმოებისა და მსოფლიო კულტურის უდიდესი ცენტრები. ასეთი ომი დაღუპვასა და ტანჯვას მოუტანდა ასობით მილიონ ადამიანს, მათ შორის იმ ქვეყნებშიც, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას ომში. იმპერიალიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას.

ახლა ისე, როგორც არასოდეს, ხალხებს მოეთხოვებათ განსაკუთრებით დიდი სიფხიზლე. სანამ რჩება იმპერიალიზმი, დარჩება ნიადაგიც აგრესიული ომებისათვის.

**ყველა ქვეყნის ხალხებმა იციან, რომ ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს ჯერ კიდევ არ გაუვლია. აგრესიისა და ომის მთავარი ძალაა ამერიკის იმპერიალიზმი.** იგი თავისი პოლიტიკით განასახიერებს მეომრული რეაქციის ideologიას. „კომუნიზმის საფრთხისაგან“ დაცვის ალმით ამერიკის იმპერიალიზმმა ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტთა მონაწილეობით მრავალი ქვეყანა ჩაჯა სამხედრო ბლოკებში, ტანტამარეში, სეატოსა და სხვა ბლოკებში, მთელი ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროო“, ე. ი. მასზე დამოკიდებული კაპიტალისტური ქვეყნები გახვია თავისი სამხედრო ბაზების ქსელში, რომლებიც მომართულია, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ამ ბლოკებისა და ბაზების არსებობა საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას, არა მარტო თელავს იმ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, რომლებიც თავიანთ ტერიტორიას უთმობენ ამერიკის სამხედრო ხროვის ბაზებისათვის, არამედ აგრეთვე ემუქრება მათს არსებობას.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ძალები დანამულებრივ შეთანხმებებს დებენ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმთან. დასავლეთ გერმანიაში აღორძინდა მილიტარიზმი, აჩქარებენ რეგულარული მასობრივი არმიის აღდგენას ჰიტლერელი გენერლების სარდლობით. ამ არმიას ამერიკელი იმპერიალისტები აიარაღებენ რაკეტულ-ატომური იარაღით და მასობრივი მოსპობის სხვა უახლესი საშუალებებით, რაც მშვიდობისმოყვარე ხალხთა მზარდ მტკიცე პროტესტს იწვევს. ამ აგრესიულ არმიას აძლევენ სამხედრო ბაზებს საფრანგეთში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, ძლიერდება საფრთხე ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისადმი, რაც დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმისაგან გამომდინარეობს. დასავლეთგერმანელი რევანშისტები აშკარად აცხადებენ, რომ სურთ გადაისინჯოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწესებული საზღვრები. ისე როგორც ერთ დროს ჰიტლერის ხროვა, დასავლეთგერმანელი მილიტარისტები ამზადებენ ომს სოციალისტური ქვეყნებისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, ცდილობენ განახორციელონ საკუთარი აგრესიული გეგმები. დასავლეთი ბერლინი გადაიქცა საერთაშორისო პროვოკაციების კერად. ბონის სახელმწიფო გახდა მშვიდობიანი თანაარსებობის, განიარაღებისა და ევროპაში დაძაბულობის შენელების მთავარი მტერი.

დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებს უნდა დაუპირისპირდეს **ევროპის ყველა** მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხის გაერთიანებული ძალა. დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აგრესიულ მისწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკუთვნის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. თათბირის მონაწილეებს **სოციალისტური ბანაკის ყველა** სახელმწიფოს, **ყველა** მშვიდობისმოყვარე **ხალხის მოვალეობად** მიაჩნიათ დაიცვან დასავლეთ ევროპაში სოციალიზმის ფორპოსტის, გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარეულ მისწრაფებათა ნამდვილი გამომხატველის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეუხებლობა.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები აქტიურად აღადგენენ ომის კერას აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთში. თელავენ რა იაპონელი ხალხის ეროვნულ დამოუკიდებლობას, მისი ნების წინააღმდეგ, მათ იაპონიის რეაქციულ მმართველ წრეებთან შეთანხმებით თავს მოახვიეს იაპონიას ახალი სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც ისახავს აგრესიულ მიზნებს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამერიკელმა დამპყრობლებმა მოახდინეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კუნძულის ტაივანის, სამხრეთ კორეის ოკუპაცია და სულ უფრო ეროვნულ სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში; მათ გადააქციეს ისინი საში სამხედრო პროვოკაციებისა და ავანტიურების კერებად. ემუქრებიან რა აგრესიით კუბას, ეროვნულ რა ლათინურ ამერიკის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა საქმეებში, ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ შექმნან ომის ახალი კერები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. ამერიკელი იმპერიალისტები რეგიონალური კავშირების ისეთ ფორმებს, როგორიც არის, მაგალითად, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, იყენებენ თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნებისათვის და თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელებაში ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩაბმისათვის.

ამერიკის იმპერიალიზმმა შექმნა ომის უზარმაზარი აპარატი და არა სურს დაუშვას მისი შეკვეცა. იმპერიალისტები ფუშავენ საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ყოველ კონსტრუქციულ წინადადებას, რომლის მიზანია განიარაღება. გრძელდება გამალებული შეიარაღება. საშიშად იზრდება ატომგულის იარაღის მარაგი. მიუხედავად თავისი ხალხისა და სხვა ქვეყნების ხალხების პროტესტისა, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტზე, საფრანგეთის მმართველი წრეები დაადგნენ ატომური იარაღის შექმნისა და გამოცდის გზას. ამერიკის სამხედრო ხროვა ემზადება განაახლოს დამღუპველი ატომური გამოცდები, გრძელდება სამხედრო პროვოკაციები, რომლებიც სერიოზული საერთაშორისო კონფლიქტების საფრთხეს შეიცავენ.

ამერიკის მმართველმა წრეებმა პროვოკაციებისა და აგრესიული მოქმედების პოლიტიკით ჩაფუშეს მთავრობათა მეთაურების პარიზის თათბირი, აიღეს საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისა და „ცივი ომის“ გაშენების კურსი. ომის საფრთხე გაძლიერდა. იმპერიალისტურმა პროვოკაციებმა მშვიდობის წინააღმდეგ ხალხთა აღშფოთება და წინააღმდეგობა გამოიწვია. ამერიკის იმპერიალიზმმა კიდევ უფრო გამოიაშკარავა თავი და მის გაელენას მსოფლიოში ახალი სერიოზული ლახვარი ჩაეცა.

იმპერიალიზმის აგრესიული ბუნება არ შეცვლილა. მაგრამ შეიქმნა რეალური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ჩაფუშონ მისი აგრესიული გეგმები. ომის ფატალური გარდუვალობა არ არსებობს. იმპერიალისტების ნება რომ იყოს, ისინი დიდი ხანია გადაჩეხდნენ კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომის უბედურებათა და საშინელებათა უფსკრულში. მაგრამ წავიდა დრო, როცა იმპერიალისტებს შეეძლოთ **თავიანთი ნებით** განესაზღვრათ — იყოს თუ არა ომი. ამ უკანასკნელ წლებში ლოკალური ომების გაჩაღებით იმპერიალისტებმა **არაერთხელ** დააყენეს **კაცობრიობა** მსოფლიო კატასტროფის ზღვარზე. სსრ კავშირს, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მტკიცე პოზიციამ ბოლო მოუღო ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ინტერვენციას ეგვიპტეში, აღკვეთა იმპერიალისტების სამხედრო შესვლა სირიაში, ერაყსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. მამაცურად განაგრძობს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას გმირი ალჟირელი ხალხი. სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალისტთა დანაშაულებრივ მოქმედებას კონგოს, ლაოსის ხალხები. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ შეიძლება ეფექტიანად ბრძოლა ლოკალური ომების წინააღმდეგ, **რომლებსაც** იმპერიალისტები აჩაღებენ, შეიძლება ასეთი ომების კერების წარმატებით ლიკვიდირება.

**დადგა დრო, როცა შეიძლება ალიკვეთოს იმპერიალიტ აგრესორთა ცდები გააჩაღონ მსოფლიო ომი. მსოფლიო სოციალისტური ბანაკის, საერთაშორისო მუშათა კლასის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ომის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ქვეყნისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანებული ღონისძიებებით მსოფლიო ომი შეიძლება თავიდან იქნას აცილებული.**

საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება ჩვენს დროში განისაზღვრება ორი საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლით, სოციალიზმის, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ბრძოლით იმპერიალიზმის, რეაქციისა და აგრესიის ძალების წინააღმდეგ, ბრძოლით, რომელშიც სოციალიზმის, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების უპირატესობა სულ უფრო აშკარა ხდება.

ისტორიაში პირველად ბრძოლას ომის წინააღმდეგ იწევენ დიადი და ორგანიზებული ძალები. მსოფლიო საბჭოთა კავშირი, რომელმაც მსოფლიო პირველობა მოიპოვა მეცნიერებისა და ტექნიკის გადამწყვეტ დარგებში; მთელი სოციალისტური ბანაკი, რომელმაც მშვიდობის საქმის სამსახურში ჩაყარეს თავისი უდიდესი მატერიალური და პოლიტიკური ძლიერება; აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის სულ უფრო მეტი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომლებიც სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით; საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა კომუნისტური პარტიები; კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა; მშვიდობისათვის მებრძოლთა მსოფლიო მოძრაობა; ნეიტრალური ქვეყნები, რომლებიც არ იზიარებენ ომის გაჩაღების იმპერიალისტურ კურსს და ემხრობიან მშვიდობიან თანაარსებობას. მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას ახარებს უჭერს აგრეთვე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილი, რომელიც ფხიზლად აფასებს ძალთა თანაფარდობას და თანამედროვე ომის მძიმე შედეგებს მთელ მსოფლიოში. მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის საჭიროა მშვიდობის მომხრეთა, აგრესიისა და ომის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლთა უღრეს ფართო ერთიანი ფრონტი, რომლის სულისჩამდგმელია ამერიკის იმპერიალიზმი. **მთელი** მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანებული და აქტიური მოქმედებით შეგვიძლია შევინარჩუნოთ მშვიდობა, თავიდან ავიცილოთ ახალი ომი.

მთელ დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებს ახლა არა აქვთ უფრო საარსებო ამოცანა, ვიდრე კაცობრიობის დაცვა მსოფლიო თერმოატომური კატასტროფისაგან. თანამედროვე სამხედრო ტექნიკის უმაგალითო დამანგრეველი ხასიათი მტკიცედ მოითხოვს, რომ მთელი ანტისამხედრო მშვიდობისმოყვარე ძალების ძირითადი მოქმედება მიმართული იყოს ომის თავიდან აცილებისაკენ. ომის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება გადაიდოს იმ დრამდე, როცა ომი იფეთქებს, რადგან მაშინ მსოფლიოს ბევრი რაიონისა და მათი მოსახლეობისათვის ბრძოლის წარმოება შეიძლება ძალიან დაგვიანებული აღმოჩნდეს. **ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ უნდა გავშალოთ ისე, რომ არ დაველოდოთ, სანამ ჩამოცვივდეს ატომური და წყალბადის ბომბები. ეს ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ახლა, დღითიდღე გავაძლიეროთ ღონისძიებანი. მთავარია ის, რომ დროზე ავლაგოთ აგრესორები, თავიდან ავიცილოთ ომი, აღვკვეთოთ მისი დაწყება.**

მშვიდობისათვის ბრძოლა დღეს ნიშნავს იმას, რომ შევინარჩუნოთ უდიდესი სიფხიზლე, დაუცხრომლად ვამხილოთ იმპერიალიზმის პოლიტიკა, ფხიზლად ვადევნოთ თვალყური ომის გამჩაღებელთა ხროკებსა და მაქინაციებს, მივმართოთ ხალხთა წმინდა გულისწყრომა ომთ წინააღმდეგ, ვისაც აღებული აქვს ომის კურსი, ავამაღლოთ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ორგანიზებულობა, განუწყვეტლივ გავაძლიეროთ მასების აქტიური მოქმედება მშვიდობის დასაცავად, განვამტკიცოთ თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ახალი ომებით. ქვეყნებში, სადაც იმპერიალისტებმა შექმნეს თავიანთი სამხედრო ბაზები, საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა ამ ბაზების ლიკვიდაციისათვის, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების, სუვერენიტეტის დაცვისა და ომის თავიდან აცილების დიდწინაწევლოვანი პირობაა. ხალხთა ბრძოლა თავიანთი ქვეყნების მილიტარიზაციის წინააღმდეგ უნდა შეეწყობოდა ბრძოლას „კაპიტალისტური მონოპოლიების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებული არიან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებთან. ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა თვითეულ ქვეყანაში ბრძოლიდან იბრძოდნენ იმისათვის, რომ მოძრაობა მშვიდობის სასარგებლოდ სულ უფრო ძლიერდებოდეს და ფართოვდებოდეს ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე ფართო მოძრაობაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ადამიანებს, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა კლასებს ეკუთვნიან, მაგრამ რომლებსაც ერთიანებს კეთილშობილური მისწრაფება არ დაუშვან ახალი ომები, უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა.

მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომ განმტკიცებას. მანამდე, სანამ განიარაღება არ განხორციელდება, სოციალისტურმა ქვეყნებმა ჭეშმარიტ დონეზე უნდა შეინარჩუნონ თავიანთი თავდაცვითი ძლიერება.

შეწყდეს გამალებული შეიარაღება, აიკრძალოს ატომური იარაღი, მისი გამოცდა და წარმოება, ლიკვიდირებულ იქნას უცხოეთის სამხედრო ბაზები და გაყვანილ იქნან უცხოეთის ჯარები სხვისი ტერიტორიებიდან, დაიშალოს სამხედრო ბლოკები, დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, დასავლეთი ბერლინი გახდეს დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქი, აღიკვეთოს დასავლეთგერმანელ რევანშისტთა აგრესიული ხრიკები, დამშვიდებულ არ იქნას იაპონიის მილიტარიზმის აღორძინება — ასეთია ამოცანები, რომელთა გადაჭრა, კომუნისტების აზრით, საჭიროა უწინარეს ყოვლისა მშვიდობის საქმის უზრუნველყოფისათვის.

ისტორიამ ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა უწინარეს ყოლისა საერთაშორისო მუშათა კლასს. იმპერიალისტები შეთანხმებებს დებენ და ერთიანდებიან, რათა გააჩაღონ თერმოატომური ომი. საერთაშორისო მუშათა კლასმა უნდა დარაზმოს თავისი რიგები, რათა იხსნას კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის კატასტროფისაგან. **ვირავთარმა განსხვავებამ პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა საკითხებში ვერ უნდა შეუშალოს ხელი მუშათა კლასის მთელი ძალების მჭიდროდ დარაზმვას ომის საშიშროების წინააღმდეგ. დადგა დრო, რომ ომის ძალებს დავუპირისპიროთ საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა რაზმისა და ორგანიზაციის ძლიერი ნება და ერთიანი მოქმედება, გავაერთიანოთ მთელი მისი ძალები ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის!**

კომუნისტურ პარტიებს მშვიდობისათვის ბრძოლა თავიანთ პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნიათ ისინი მოუწოდებენ მუშათა კლასს, პროფკავშირებს, კოოპერაციულ, ქალთა, ახალგაზრდობის კავშირებსა და ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს, განურჩევლად პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა, მასობრივი ბრძოლის გზით მტკიცე წინააღმდეგობა გა

# კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

და იმპერიალიზმის პოზიციების შესუსტებამ ჩაგრულ ხალხებს დაუსახა დამოუკიდებლობის ძოპოვების ახალი შესაძლებლობანი.

კოლონიური ქვეყნების ხალხები დამოუკიდებლობას აღწევენ როგორც შეიარაღებული ბრძოლის გზით, ისე არასამხედრო გზით, თვითეული ქვეყნის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. მტკიცე გამარჯვებას ისინი აღწევენ მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველზე. კოლონიური სახელმწიფოები სარულრად როდი აძლევენ თავისუფლებას კოლონიების ხალხებს და ნებაყოფლობით როდი ტოვებენ ქვეყნებს, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ.

თანამედროვე კოლონიალიზმის მთავარი დასაყრდენია ამერიკის შეერთებული შტატები, იმპერიალისტები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით გააფთრებით ცდილობენ, რომ ახალი მეთოდებით და ახალი ფორმებით შეინარჩუნონ ყოფილი კოლონიების ხალხთა კოლონიური ექსპლოატაცია. მონოპოლიები ცდილობენ შეინარჩუნონ ეკონომიური კონტროლისა და პოლიტიკური გავლენის ბერკეტები აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამ ლონისძიებათა მიზანია შეინარჩუნონ ძველი პოზიციები. განთავისუფლებული ქვეყნების ეკონომიკაში და ხელი იგდონ ახალი პოზიციები ეკონომიური „დახმარების“ სახით, ჩაბან განთავისუფლებული ქვეყნები სამხედრო ბლოკებში, დანერგონ ამ ქვეყნებში სამხედრო-დიქტატურული რეჟიმები, შექმნან სამხედრო ბაზები. იმპერიალისტები ცდილობენ გამოშიგნონ, ძირი გამოუთხარონ განთავისუფლებული ქვეყნების ეროვნულ სუვერენიტეტს, დაამახინჯონ ერთა თვითგამორკვევის აზრი, თავს მოახვიონ მათ ეგრეთწოდებული „ურიერთდამოკიდებულების“ ალმით კოლონიური ბატონობის ახალი ფორმები, ამ ქვეყნების ხელისუფლების სათავეში დააყენონ თავიანთი მარionეტები, მოისყიდონ ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, იყენებენ ეროვნული შეღალის მოწამლულ იარაღს, რათა შეასუსტონ ახალგაზრდა მოუმგრებელი სახელმწიფოების ძალები. ამ მიზნით აქტიურად იყენებენ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს და ორმხრივ აგრესიულ სამხედრო კავშირებს. იმპერიალისტთა თანამზრახველობად გამოდიან ყველაზე რეაქციული წრეები ადგილობრივი ექსპლოატატორული კლასებიდან.

იმ ქვეყნების ეროვნული აღორძინების საარსებო ამოცანები, რომლებსაც მოიშორეს კოლონიური უღელი, შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ. მტკიცე ბრძოლის გაჩაღების პირობით, ერის მთელი პატრიოტული ძალების ერთიან ეროვნულ დემოკრატიულ ფრონტად გაერთიანების გზით. პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება, გლეხობის სასარგებლოდ, აგრარული გარდაქმნების განხორციელება, ფეოდალიზმის ნაშთებისა და გადმონაშთების ლიკვიდაცია, იმპერიალიზმის ბატონობის ეკონომიური ფესვების აღმოფხვრა, უცხოეთის მონოპოლიების შეზღუდვა და მათი განდევნა ეკონომიკიდან, ეროვნული მრეწველობის შექმნა და განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, დამოუკიდებელი მშვიდობიმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელება, სოციალისტურ ქვეყნებთან და სხვა მეგობარ ქვეყნებთან ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარება — ეს საერთოეროვნული დემოკრატიული ამოცანები შეადგენენ იმ ნიადაგს, რომელზეც განთავისუფლებულ ქვეყნებში შეუძლიათ გაერთიანდნენ და ნამდვილად ერთიანდებიან ერის პროგრესული ძალები.

მუშათა კლასი, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მოითხოვს ეროვნული, ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული რევოლუციის ამოცანების თანმიმდევრულად ბოლომდე მიყვანას, ილაშქრებს რეაქციული ძალების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ შეაფერხონ სოციალური პროგრესის სვლა.

ამ ქვეყნებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს გლეხობის საკითხის გადაჭრას, რომელიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს. ღრმა აგრარული გარდაქმნების განუხორციელებლად არ შეიძლება გადაიჭრას სასურსათო პრობლემა, აღიგავოს შუა საუკუნეების ყველა ნაშთი, რომლებიც ბოჭავენ საწარმოო ძალების განვითარებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. ამ ქვეყნებში დიდი მხინვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით მრეწველობაში სახელმწიფო სექტორის შექმნასა და გაფართოებას დემოკრატიულ საფუძველზე, რომელიც დამოუკიდებელი იქნება უცხოეთის მონოპოლიებისაგან და თანმიმდევრულად გადაიცვლა სახელმწიფოს ეკონომიკის განმსაზღვრელ ფაქტორად.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი უმნიშვნელოვანესი ძალაა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დაცვის, ღრმა დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებისა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის საქმეში. ეს კავშირი უნდა იყოს ფართო ეროვნული ფრონტის საფუძველი. მის ძალასა და სიმტკიცეზე ცოტათი როდია დამოკიდებული აგრეთვე განმათავისუფლებელ ბრძოლაში ეროვნული ბურჟუაზიის მონაწილეობის დონე. დიდი როლის შესრულება შეუძლიათ მთელ ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს, ერის ყველა ელემენტს, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ახლანდელ პირობებში კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც დაკავშირებული არ არის იმპერიალისტურ წრეებთან, ობიექტურად დაინტერესებულია ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუციის ძირითადი ამოცანების განხორციელებით და ანტიმამ ინარჩუნებს უნარს მონაწილეობა მიიღოს რევოლუციურ ბრძოლაში იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ამ აზრით მას პროგრესული ხასიათი აქვს. მაგრამ იგი მერყეევი, პროგრესულობასთან ერთად იხრება იმპერიალიზმთან და ფეოდალიზმთან შეთანხმებლობისაკენ. ეროვნული ბურჟუაზიის ორაზროვანი ხასიათის გამო მისი მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციაში სხვადასხვანაირია. ეს დამოკიდებულია კოლონიურ პირობებზე, ცალოლებებზე კლასობრივ ძალთა თანაფარდობაში, იმპერიალიზმსა, ფეოდალიზმსა და ხალხის მასებს შორის წინააღმდეგობათა სიმწვავეზე, იმპერიალიზმსა, ფეოდალიზმსა და ეროვნულ ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობათა სიღრმეზე.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხალხები ეძებენ პასუხს ცხოვრების მიერ დაყენებულ სოციალურ პრობლემებზე და ეროვნული დამოუკიდებლობის გამტკიცების საკითხებზე. სხვადასხვა კლასი და პარტია სხვადასხვა დაჯილდოებას იძლევა. განვითარების რა გზა აირჩიონ — ეს თვითონ ხალხების საშინაო საქმეა. სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების კვალობაზე ეროვნული ბურჟუაზია სულ უფრო მეტად იხრება შინაური რეაქციისა და იმპერიალიზმთან შემთანხმებლობისაკენ. ხალხის მასები კი რწმენდებიან, რომ საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საუკეთესო გზაა არაკაპიტალისტიური განვითარების გზა. მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ხალხები ბისნაა თავი ექსპლოატაციისაგან, სიღატაკისა და ბიძიძილისაგან. ამ ძირეული სოციალური საკითხის გადაჭრაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის შეასრულონ მუშათა კლასსა და გლეხობის ფართო მასებმა.

თანამედროვე ისტორიულ ვითარებაში ბევრ ქვეყანაში იქმნება ხელსაყრელი საერთაშორისო და საშინაო პირობები ეროვნული დემოკრატიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ეს იგი ისეთი სახელმწიფოს შესაქმნელად, როგელიც თანმიმდევრულად იცავს თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას, იბრძვის იმპერიალიზმისა და მისი სამხედრო ბლოკების წინააღმდეგ, თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების წინააღმდეგ; სახელმწიფოსი, როგელიც იბრძვის კოლონიალიზმის ახალი ფორმებისა და იმპერიალისტური კაპიტალის შეღწევის წინააღმდეგ; სახელმწიფოსი, რომელიც ეთაყოფს ბართვის დიქტატურულ და დესპოტიურ მეთოდებს; სახელმწიფოსი, რომელმაც ხალხისათვის უზრუველყოფილია ფართო დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები (სიტყვის, პრესის, კრებების, დეონსტრაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის თავისუფლება), შესაძლებლობა მიაღწიოს აგრარული რეფორმებისა და სხვა მოთხოვნების განხორციელებას დემოკრატიული და სოციალური გარდაქმნების დარგში, მოიაზრებოს სახელმწიფო პოლიტიკის გაისაზღვრაში. ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოთა ძეკეა და განმტკიცება უზრუველყოფს მათთვის შესაძლებლობას სწრაფად განვითარდნენ სოციალური პროგრესის გზით, აქტიური როლი შეასრულონ ხალხთა ბრძოლაში მშვიდობისათვის, იძაკიალისტური ბანაკის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, კოლონიური უღლის სრული ლიკვიდაციისათვის.

კომუნისტური პარტიები აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ თანმიმდევრულად მიიყვანონ ბოლომდე ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური, დემოკრატიული რევოლუცია, იბრძვიან ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოს ეკმნილ ფენებს, ხალხის მასების ცხოვრების დონის გადაკრეთ გაუმჯობესებისათვის. ისინი მხარს უჭეოენ ეროვნულ მთავრობათა ძოკმედებას, როგლის მიზანია განამტკიცოს მიღწეული მოხაპოვარნი, ძირი გამოუთხარონ იმპერიალიზმის პოზიციას. ამავე დროს ისინი აქტიურად ილაშქრებენ ანტიდემოკრატიული, ანტიხალხური აქტების წინააღმდეგ, მმართველი წრეების იმ ლონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეროვნულ დამოუკიდებლობას. კომუნისტები ამხილებენ ბურჟუაზიის რეაქციული ფოთის ცდებს — თავისი ინგრეებითი ვიწროკლასობრივი ინტერესები გაასაღოს მთელი ერის ინტერესებად, ბურჟუაზიული პოლიტიკოსების მიერ სოციალისტური ლოზუნგების დეიგოგიურ გამოყენებას იმავე მიზნებით, ცდილობენ მიაღწიონ საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ დემოკრატიზაციას, აერთიანებენ მთელ პროგრესულ ძალებს დესპოტიკა ოეკიანების წინააღმდეგ საბრძოლველად ან ასეთი რეჟიმების დამყარების ტენდენციების აღსაკვეთად.

კომუნისტების მიზნები შეესაბამება ერის უმაღლეს ინტერესებს. რეაქციული წრეების მისწრაფება, რომ „ანტიკომუნიზმის“ ალმით აიფიქონ ეროვნული ფრონტი, გათიშონ კომუნისტები — განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე მოწინავე ნაწილი, — ასუსტებს ეროვნული მოძრაობის ძალებს, ეწინააღმდეგება ხალხთა ეროვნულ ინტერესებს, ქმნის მიღწეულ ეროვნულ. მონაპოვართა დაკარგვის საფრთხეს.

სოციალიზმის ქვეყნები გულწრფელი და ერთგული მეგობრები არიან ხალხებისა, ოომლებიც იბრძვიან განთავისუფლებისათვის ან უკვე განთავისუფლდნენ იმპერიალისტური უღლისა და ჩაგვრისაგან. პრინციპულად უარყოფენ რა რაიმე ჩარევას ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, მათ თავიანთ ინტერნაციონალური მოვალეობად მიიჩნიათ ხელი შეუწყონ ხალხებს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ისინი ყოველგვარ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ ამ ქვეყნებს მათ განვითარებაში პროგრესის გზით, სამამულო მრეწველობის შექმნაში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და განმტკიცებაში, საკუთარი კადრების მომზადებაში, თანამშრომლობენ მათთან მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეტროპოლიების შეგნებული მუშები თანმიმდევრულად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული ერების თვითგამორკვევისათვის, შეგნებული ჰქონდათ რა, რომ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს“. ახლა, როცა ეს ხალხები ადგებიან ეროვნული დამოუკიდებლობის გზას, კაპიტალიზმის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მუშებისა და მთელი დემოკრატიული ძალების ინტერნაციონალური მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მათ მხარი ბრძოლაში იმპერიალისტების წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მისი განმტკიცებისათვის, დაეხმარონ მათ ეკონომიური და კულტურული აღორძინების ამოცანების წარმატებით დაფაჭრის საქმეში. როცა ასე იქცევიან, ისინი ამით იცავენ თავიანთი ქვეყნების ხალხის მასების ინტერესებს.

სრული და საბოლოო ლიკვიდაცია კოლონიური რეჟიმისა ყველა მისი ფორმით და გამოვლინებით ნაკარნახევია მსოფლიო ისტორიის მთელი მსვლელობით უკანასკნელ ათ წელიწადში. ყველა ხალხს, ვინც ჯერ კიდევ ატარებს კოლონიალიზმის ბორკილს, უნდა გაეწიოს ყოველმხრივი დახმარება ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებაში! ყველა ფორმის კოლონიური ჩაგვრა უნდა გაუქმდეს. კოლონიალიზმის ლიკვიდაციას უდიდესი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის. თათბირი სოლიდარობას უცხადებს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ოკეანის ყველა ხალხს, რომლებიც ეწევიან გმირულ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას. თათბირი ძიესამენა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია მათი სრული განთავისუფლებისაკენ. თათბირი მხურვალე სიმპათიასა და მხარდაჭერას უცხადებს გმირ ალჟირელ ხალხს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მოითხოვს ალჟირს წინააღმდეგ აგრესიული ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. თათბირი გულისხყობით ადევნებს რასობრივი დევნისა და ტერანნის არაადამიანურ სისტემას („აპარტეიდი“) სამხრეთ აფრიკის კავშირში და საერთაშორისო დემოკრატიულ საზოგადოებრიობას თავსუფლებისა და თანასწორობისათვის ბრძოლაში. თათბირი მოითხოვს კუბის, კონგოს, ყველა განთავისუფლებული ქვეყნის ხალხთა სუვერენულ უფლებებში ჩაუფერვლობას.

ყველა სოციალისტურ ქვეყანას, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობას თავიანთ მოვალეობად მიიჩნიათ ყოველი ღონისძიებით გაუწოონ მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური და კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

## V.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახალი თანაფარდობა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს ახალ შესაძლებლობებს უქმნის მძვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის იმ ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც მათ წინაშე დგას.

კომუნისტური პარტიები რეალისტურ პერსპექტივებსა და ამოცანებს განსაზღვრავენ თავიანთი ქვეყნების კონკრეტული ისტორიული და სოციალური პირობების ძესაბამისად და საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. ისინი თავდადებულ ბრძოლას ეწევიან იმისათვის, რომ უკვე თანამედროვე პიროობები, სოციალიზმის გამარჯვებამდე გადაუდებლად, ყველაფერი გაკეთონ მუშათა კლასისა და ხალხის მასების ინტერესების დასაცავად, მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ხალხის დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა გასაფართოებლად. შეგნებული აქვს რა, რომ კაპიტალის ეულლისგან თავისი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძირითადი სიმძიმე მას აწევს მხრებზე, მუშათა კლასი და მისი რევოლუციური ავანგარდი სულ უფრო ენერგიულად გაიჩაღებენ შეტევას მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა ბატონობის წინააღმდეგ. თვითეული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური ცხოვრების ყველა დარგში. ამ ბრძოლის მსვლელობაში ხდება მასების ძმამზადება და იქმნება პირობები გადამწყვეტი ბრძოლებისათვის კაპიტალიზმის დასამხობად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მისაღწევად.

მთავარი დარტყმა თანამედროვე პირობებში სულ უფრო გადაჭრით წარიმართება კაპიტალისტური მონოპოლიების წინააღმდეგ, რომლებსაც ძირითადად მიუძღვით ბრალი გამალებულ შეიარაღებაში, რომლებიც წარმოადგენენ რეაქციისა და აგრესიის დასაყრდენს, წარიმართება მათი ანტეგონისების სადარაჯოზე ადგომი სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მთელი სისტემის წინააღმდეგ.

ცალკეულ არაეროპულ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგლებიც ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ბატონობას განიცდიან, მუშათა კლასი და ხალხის მასები მთავარ დარტყმას მიმართავენ ამერიკის იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ, აგრეთვე მოხაპოლისტური კაპიტალისა და მინგანი რეაქციის სხვა ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ერის ინტერესებს ღალატობენ. ამ ბრძოლის მსვლელობაში ერთიან ფრონტად ილაზმებიან ერის მთელი დემოკრატიული, პატრიოტული ძალები, რომლებიც იბრძვიან რევოლუციის გამარჯვებისათვის, რაც მიმართულია ხაძდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მიღწევისაკენ, რომელთა ჰოპოვება ქმნის პირობებს სოციალისტური რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტაზე გადასვლისათვის.

მსხვილი მონოპოლიები ყველა ხახით აწარმოებენ შეტევას მუშათა კლასის, ხალხის ფართო მასების ინტერესების წინააღმდეგ. ძლიერდება მშრომელთა ექსპლოატაცია, აგრეთვე გლეხობის ფართო მასების გაღატაკების პროცესი; ამავე დროს იზრდება სიძნელენი, რომლებსაც ქალაქის წვრილი და საშუალო ბურჟუაზია განიცდის. მსხვილი მონოპოლიების ულელი სულ უფრო ძლიერ ხდება ერის ყველა ფენისათვის. ამის შედეგად ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასობრივი წინააღმდეგობის — შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის — გამწვავებასთან ერთად თანმიმდეროვე ეტაპზე ღრმავდება წინააღმდეგობა ერთ მუჭა მონოპოლისტებსა და ხალხის ყველა ფენას შორის.

ძონოპოლიები ცდილობენ მოსპონ ან უკიდურესად შეკვეცონ ხალხის მასების დემოკრატიული უფლებები. ზოგეოთ ქვეყანაში კვლავ მძვინვარებს აშკარა ფაძისტური ტერორი, მთელ ოიგ ქვეყნებში ძალიერდება ფაშიზაციის პროცესი ახალი ფორმებით: მართვის დიქტატორული მეთოდები შეხამებულია პარლამენტარიზმის ფიქციასთან, რომელიც მოკლებულია დემოკრატიულ ძიეაარსს და გადაქცეულია პიოწმინდა ფორმალობად. ბევრ დემოკრატიულ ორგანიზაციას კანონგარეშე აცხადებენ, და ეიინი ძეულებულ. არიან იატაკქვეშეთში გადავიდნენ, ეუმათა კლასის საქმისათვის, მშვიდობის საქმისათვის ათაიობით მეერძოლი საპყრობილეებძია გაძოეყუკდეული.

მსოფლიოს ყველა კომუნისტის სახელით თათბირი პროლეტარული სოლიდარობის გრძნობებს უცხადებს ამერიკის შეეოთებული ძტატების, ესპანეთის, პორტუგალიის, იაპონიის, დასავლეთ გერმანიის, საბერძნეთის, ირანის, პაკისტანის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ეორდანიის, ერაყის, არგენტინის, პარაგვაის, დოციმიკოს რესპუბლიკის, ძექსიკის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, სუდანისა და სხვა ქვეყნეების მუშათა კლასის სახელოვან ბრძოლებსა და დემოკრატებს, ოომლებიც დილეგებში იტანჯებიან. თათბირი მოუწოდებს გაჩაღდეს მძლავრი საეოთაეოოისო კაძპანია მშვიდობისათვის, ეროვიული დამოუკიდებლობისა და დემოკოატიისათვის მებრძოლთა გასათავისუფლებლად.

მხოლოოდ ბატონობის ლიკვიდაციით სისხლხრცეეულად დაინტერესებული არიან მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, ქალაქის წვრილი და საშუალო ბურჟუაზია. იქმნება ხელსაყოელი პირობები ძთელი ან ძალების შეკავძოებისათვის.

კომუნისტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი გაერთიანების განხორციელება საკუთარ შესაძლებელია მშვიდობისათვის, ეოოვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკოატიის დაცვისა და გაკეთორებისათვის, ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების ნაციონალიზაციისა და მათი მართვის დემოკოატიზაციისათვის, ქოელი ეკონომიკაა მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ძეკვიდობიანი ძიზნებით გამოყენებისათვის, რადიკალური აგოაოული ოეფოორმების განხორციელებისათვის, ძეორძელთა ცხოვრების პირობების გაუჯობესებისათვეა, მონოპოლიათა თვითხებობისაგან გლეხობის იხტეოესების, ქალაქის წვრილი და საძეალო ბურჟუაზიის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის საფუძველზე.

ასეთ ღონისძიებათა განხორციელება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სოციალეური პროგოესის გზაზე, ერის უძოკლესობის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა. ყველა ეს ღონისძიება დემოკრატიულ ხასიათის ატარებს. ეს ღონისძიებანი არ სპობენ ადამიანის ეიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ძაგრამ მათი ოკალიზაცია მეზღუდავდა მონოპოლიების სიძლავრეს, გაზრდიდა მუშათა კლასის ავტორიტეტსა და პოლიტიკურ წონას ქვეყნის ცხოვრებაში, ხელს შეუწყობდა ყველაზე რეაქციული ძალების იზოლაციას და გააადვილებდა მთელი პროგრესული ძალების გაერთიანებას. დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლაში მოსახლეობია ფართო ფენების მონაწილეობა არწმუნებს მათ მუშათა კლასთან ერთიანი მოქმედების

## VI.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ჩვენი დროის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა, საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის გააფთრებულ ბრძოლაში კომუნისტური მოძრაობა განუხრელად მიდის წინ, იერაზმება და იწრთობა.

ამჟამად მსოფლიოს 87 ქვეყანაში მოქმედებენ კომუნისტური პარტიები. ისინი თავიანთ რიგებში 36 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ. ეს მარქსიზმ-ლენინიზმის შესანიშნავი გამარჯვებაა, მუშათა კლასის ედიდესი მონაპოვარია. გრძელდება თანამოაზრე მარქსისტთა გაერთიანება ქვეყნებსა შორის, ოომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ. კომუნისტურ პარტიებს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ხელი შეუწყონ განთავისუფლებული სახელმწიფოების მუშათა მოძრაობასთან თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიების რიგების ზრდა და მათი ორგანიზაციული განმტკიცება, უზრუნველყოფა მთელი რიგი ქვეყნების კომუნისტური პარტიების გამარჯვებისა გადაზრებთან ბრძოლაში, პროგენების კულტის მავნე შედეგების დაძლევა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გავლენის გაძლიერება ახალ პერსპექტივებს ქმნის კომუნისტური პარტიების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დახარული)

მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს თავიანთი მოღვაწეობის უცილობელ კანონად მიაჩნიათ განუხრელი დაცვა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე, საჭიროდ მიაჩნიათ თვალსაჩინოვით გაუფრთხილდნენ პარტიის ერთიანობას. მტკიცედ დაიცვან პარტიული დემოკრატიისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი, ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპების შესაბამისად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდენ პარტიის ცხოვრებაში ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების როლს, განუწყვეტლივ ზრუნავდნენ პარტიის წევრებთან და მშრომელთა ფართო მასებთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის, არ დაუშვან პიროვნების კულტი, რომელიც ბოკავს კომუნისტების შემოქმედებითი აზრისა და ინიციატივის განვითარებას, ყოველმხრივ განავითარონ კომუნისტების აქტივობა, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა თავიანთ რიგებში.

კომუნისტურმა პარტიებმა თავიანთ რიგებში იდეურად გაანადგურეს რევიზიონისტები, რომლებიც ცდილობდნენ მარქსისტულ-ლენინური გზიდან გადაეცდინათ ეს პარტიები, რევიზიონიზმის, მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოხდა თვითეული კომუნისტური პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი იდეური და ორგანიზაციული განმტკიცება.

კომუნისტურმა პარტიებმა ერთსულოვნად დაგმეს საერთაშორისო ოპორტუნიზმის იუგოსლავიური ნაირსახეობა, რომელიც თანამედროვე რევიზიონისტების „თეორიების“ კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს. უღალატეს რა მარქსიზმ-ლენინიზმს, გამოაცხადეს რა იგი მოძველებულად, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელებმა 1957 წლის დეკლარაციას დაუპირისპირეს თავიანთი ანტილენინური რევიზიონისტური პროგრამა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი დაუპირისპირეს მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, მოსწყვიტეს თავიანთი ქვეყანა სოციალისტურ ბანაკს, იგი დამოკიდებული გახადეს ამერიკელი და სხვა იმპერიალისტების ეგრეთწოდებულ „დახმარებაზე“ და ამით შექმნეს იუგოსლავიელი ხალხის გმირული ბრძოლით მიღწეულ რევოლუციურ მონაპოვრათა დაკარგვის საფრთხე. იუგოსლავიელი რევიზიონისტები ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან სოციალისტური ბანაკის და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ბელოსვაგრეში პოლიტიკის საბაბით ისინი აჩაღებენ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალთა და სახელმწიფოთა ერთიანობას. იუგოსლავიელ რევიზიონისტთა ხელმძღვანელების შემდგომი მხილება და აქტიური ბრძოლა იმისათვის, რომ კომუნისტური მოძრაობა, აგრეთვე მუშათა მოძრაობა დაიცვან იუგოსლავიელი რევიზიონისტების ანტილენინური იდეებისაგან, კვლავ რჩება მარქსისტულ-ლენინური პარტიების აუცილებელ ამოცანად.

მუშათა კლასის ბრძოლის პრაქტიკამ, საზოგადოებრივი განვითარების მთელმა მსვლელობამ მოგვცა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ყოვლისმძლე ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის ახალი ბრწყინვალე დადასტურება და გადაჭრით გაბათილა თანამედროვე რევიზიონისტთა ყველა „თეორია“.

კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ კვლავაც, როგორც აღნიშნულია მოსკოვის 1957 წლის დეკლარაციაში, გრძელდებოდეს გადამწყვეტი ბრძოლა ორ ფრონტზე — რევიზიონიზმის წინააღმდეგ, რომელიც მთავარ საშიშროებად რჩება, და დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

ამახინჯებს რა მარქსიზმ-ლენინიზმს, აცლის რა მას რევოლუციურ სულს, რევიზიონიზმი, მემარჯვენე ოპორტუნიზმი ასახავს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას თეორიასა და პრაქტიკაში, ბოჭავს მუშათა ფენების რევოლუციურ ნებისყოფას, ახდენს მუშების, მშრომელთა მასების განიარღებასა და დემობილიზაციას ბრძოლაში, რომელსაც ისინი იმპერიალისტებისა და ექსპლოატატორების უღლის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ეწევიან.

დოგმატიზმი და სექტანტობა თეორიასა და პრაქტიკაში, თუ მათ წინააღმდეგ წარმოებულ არ იქნა თანმიმდევრული ბრძოლა, აგრეთვე შეიძლება გახდნენ მთავარი საფრთხე ცალკეული პარტიების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ისინი რევოლუციურ პარტიებს ერთმანეთს უნარს განავითარონ მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერულ-ანალიზის საფუძველზე და შემოქმედებითად გამოიყენონ იგი კონკრეტული პირობების შესაბამისად, ახდენენ კომუნისტების იზოლირებას მშრომელთა ფართო ფენებისაგან, განუმზადებენ მათ პასიურ ლოდინს ან მომემარცხენო, ავანტიურულ მოქმედებას რევოლუციურ ბრძოლაში, შესაძლებლობას არ აძლევენ დროზე და სწორად შეაფასონ ცვალებადი ვითარება და ახალი გამოცდილება, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიული ძალების გამარჯვების ინტერესებისათვის და ამით ხელს უშლიან ხალხებს მოიპოვონ გამარჯვება მათს სამართლიან ბრძოლაში.

იმ პირობებში, როცა იმპერიალისტური რეაქცია აერთიანებს თავის ძალებს კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით საჭიროა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყოველი ღონისძიებით შეკავშირება. ერთიანობა და შეკავშირება აათკეცებს ჩვენი მოძრაობის ძალებს და ქმნის კომუნისტების დიადი საქმის ძლევამოსილი წინსვლისა და მტრის ყველა იერიშის მოგერიებაში წარმატების საიმედო გარანტიას.

მთელი მსოფლიოს კომუნისტებს აერთიანებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრება და ერთობლივი ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. კომუნისტური მოძრაობის ინტერესები მოითხოვს, რომ თვითეული კომუნისტური პარტია სოლიდარულად იცავდეს მოძმე პარტიების მიერ თავიანთ თათბირებზე ერთობლივად შემუშავებულ შეფასებებსა და დასკვნებს, რომლებიც ეხება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს.

მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლის ინტერესები მოითხოვს თვითეული კომუნისტური პარტიისა და ყველა ქვეყნის კომუნისტთა დიადი არმიის რიგების სულ უფრო შემჭიდროებას, მათი ნებისყოფისა და მოქმედების ერთიანობას. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის მუდმივი გამმტკიცებისათვის ზრუნვა თვითეული მარქსისტულ-ლენინური პარტიის უმაღლესი ინტერნაციონალური მოვალეობაა.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის მტკიცედ დაცვა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, ყოველი ისეთი მოქმედების დაუშვებლობა, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს ამ ერთიანობას, წარმოადგენს გამარჯვების აუცილებელ პირობას ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის, სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში. ამ პრინციპების დარღვევა კომუნიზმის ძალების შესუსტებას გამოიწვევდა.

ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიები დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი ორიან, იმუშავებენ, პოლიტიკას თავიანთი ქვეყნების კონკრეტული პირობების მიხედვით, ხელმძღვანელობენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით და მხარს უჭერენ ერთმანეთს. თვითეულ ქვეყანაში მუშათა კლასის საქმის წარმატება მოითხოვს ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ინტერნაციონალურ სოლიდარობას. თვითეული პარტია პასუხისმგებელია თავისი ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელების წინაშე, მთელი საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე.

კომუნისტური და მუშათა პარტიები საჭიროების მიხედვით მართავენ თათბირებს აქტუალური პრობლემების განსახილველად. გამოცდილების ურთიერთ გასაზიარებლად, ერთიმეორის შეხედულებებისა და პოზიციების გასაცნობად, ერთიან შეხედულებათა გამოსამუშავებლად საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში კონსულტაციებისა და ერთობლივი მოქმედების შეთანხმების გზით.

როცა ამა თუ იმ პარტიის წინაშე დადგება საკითხები, რომლებიც ეხება სხვა მოძმე პარტიის მოღვაწეობას, მისი ხელმძღვანელობა მიმართავს შესაბამისი პარტიის ხელმძღვანელობას; საჭიროების შემთხვევაში იმართება შეხვედრები და კონსულტაციები.

უკანასკნელი წლების მანძილზე კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრების გამოცდილება და შედეგები, განსაკუთრებით ორი უდიდესი თათბირის — 1957 წლის ნოემბრის თათბირისა და ამ თათბირის შედეგები ცხადყოფენ, რომ თანამედროვე პირობებში ასეთი თათბირები წარმოადგენენ აზრებისა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის კოლექტიური ღონისძიებებით გამდიდრების და საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში ერთიანი პოზიციების გამომუშავების ეფექტიან ფორმას.

კომუნისტური და მუშათა პარტიები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საყოველთაოდ ცნობილი ავანგარდი იყო და კვლავ რჩება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ყველაზე გამოცდილი და ნაწრთობი რაზმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას, რომელიც შეძენილია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის მშენებლობასა და კომუნიზმის გამლილი მშენებლობის განხორციელებაში, პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაგალითი და მისი ძმური სოლიდარობა აღაფრთოვანებს ყველა კომუნისტურ პარტიას მათს ბრძოლაში მშვიდობისა და სოციალიზმისთვის და წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების გამოხატულებას. სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს არა მარტო უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრკ კავშირში კომუნისტური მშენებლობისათვის, არამედ მათ დასაბამიც მისცეს ახალ ეტაპს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ხელი შეუწყეს მის შემდგომ განვითარებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

კომუნისტურ და მუშათა პარტიებს თავიანთი წვლილი შეაქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების განვითარების საქმეში. ყველა მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების ურთიერთობაში ურთიერთ დახმარება და მხარდაჭერა წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებას.

თანამედროვე პირობებში იდეოლოგიის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ექსპლოატატორთა კლასი სოციალიზმის წარმატებებს უპირისპირებს მასების სულ უფრო აქტიურ იდეურ დამუშავებას, ცდილობს კვლავ დატოვოს ისინი ბურჟუაზიული იდეოლოგიის სულიერ ტყვეობაში. კომუნისტები თავიანთ ამოცანად იმაში ხედავენ, რომ გააჩაღონ გადამწყვეტი შეტევა იდეოლოგიურ ფრონტზე, მიაღწიონ ხალხის მასების განთავისუფლებას ყველა სახისა და ფორმის ბურჟუაზიული იდეოლოგიის სულიერი მონობისაგან, მათ შორის რეფორმიზმის გამხრწნელი გავლენისაგან, მასებში მოწინავე იდეების გავრცელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ პროგრესს, თავისუფლებისმოყვარული დემოკრატიული იდეების, მეცნიერული სოციალიზმის იდეოლოგიის გავრცელებას.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთები რჩება ხანგრძლივი დროის მანძილზე სოციალისტური წყობილების დამყარების შემდეგაც. ეს საკითხი ხდის პარტიის უდიდესი ყოველმხრივი მუშაობის გაშლას მასების კომუნისტური აღზრდისათვის, პარტიისა და სახელმწიფოს კადრების მარქსისტულ-ლენინური მოშზადების ამაღლებისა და წრთობისას.

მარქსიზმ-ლენინიზმი ერთიანი დიადი რევოლუციური მოძღვრებაა, გზის მანათობელი ვარსკვლავია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელებისათვის ამ დიადი ბრძოლის ყველა ეტაპზე, რომელიც წარმოებს მშვიდობის, თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრებისათვის, ყველაზე სამართლიანი საზოგადოების — კომუნიზმის შექმნისათვის. მისი დიადი შემოქმედებითი გარდამქმნელი ძალა გაჟღენთილია კავშირი ცხოვრებასთან, განუწყვეტელი გამდიდრება ახალი ნაბიჯებისა ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე მიღწეულია დიადი ისტორიული გამარჯვებანი სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობისა, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მსოფლიდ მის საფუძველზე შეიძლება წარმატებით გადაიჭრას კომუნისტური და მუშათა პარტიების წინაშე მდგომი ყველა ამოცანა.

**თათბირის მონაწილეებს მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე კომუნისტური პარტიების შემდგომი შეკავშირება მიაჩნიათ მუშათა კლასის მთელი ძალების, დემოკრატიისა და პროგრესის ძალების გაერთიანების უმნიშვნელოვანეს პირობად, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ახალი გამარჯვებათა საწინდრად მთელი ეკაბრობის ნათელი მომავლისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის ხაჭმის გამარჯვებისათვის მის დიად ბრძოლაში.**

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

## კონგოში არსებული მდგომარეობის შესახებ

**მოსკოვი, 6 დეკემბერი.** (ხაკდესი). უკანასკნელი დღეების ამბები კონგოში გვიჩვენებენ, რომ ნატოს კოლონიური ხახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ნათქვამია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში კონგოში არსებული მდგომარეობის შესახებ, აშკარად დაადგნენ კონგოელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის მოხპობის გზას.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბასა და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს დაპატიმრება და წამება, კონგოში შემოღებული ტერორი მოწმობს, რომ გაძლიერდა ნატოს იმპერიალისტური აგრესია კონგოს წინააღმდეგ, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით ფარავენ. კოლონიზატორებს სურთ ფიზიკურად მოსპონ კონგოს ხალელმწიფოს ხელმძღვანელები, თავიანთი დაქირავებული აგენტები დანიშნონ მათ ადგილზე. ფაქტიურად ისინი ცდილობენ აღადგინონ კონგოში ძველი (ბელგიელი) და ახალი (ამერიკელი) კოლონიზატორების ხელისუფლება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დანაშაულებრივ საქმიანობას კონგოს პარლამენტისა და მთავრობის წინააღმდეგ აშკარად წარმართავს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ლეოპოლდვილში, საიდანაც იღებენ ფულს ბანდიტური მოქმედების განსახორციელებლად კოლონიზატორთა ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები საგულისხმო გაკვეთილს მიიღებენ კონგოს ახლანდელი ამბებიდან. ეს ამბები გვასწავლიან უწინარეს ყოვლისა იმას, რომ კოლონიზატორები არაფერს არ თმობენ ნებაყოფლობით, თვითეული ნაბიჯი წინ თავისუფლებისაკენ ბრძოლით უნდა გადაიდგას; კონგოს ამბები სპობენ მონურ სულისკვეთებას, იმ დაპირებებისადმი გულუბრყვილო რწმენას, რომლებიც კოლონიზატორები იძლევიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია: აფრიკისა და აზიის ყველა ხახელმწიფო რომ იჩენდეს იგივეა ერთიანობას და სიმტკიცეს, როგორიც მათ სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად გამოიჩინეს, მაგალითად, სუეცის კრიზისის დღეებში 1956 წლის შემოდგომაზე, იმპერიალისტთა დანაშაულებრივი ზრახვები კონგოში საერთოდ ვერ განხორციელდებოდა.

კონგოს ამბები მთელი სიცხადით ადასტურებენ, რომ სწორია საბჭოთა მთავრობის პოზიცია, რომელიც მას ეკავა თავიდან, როცა დაიწყო იმპერიალისტური აგრესია ამ რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომ დასაბუთებული და საჭირო იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის მოქმედების მტკიცე და თანმიმდევრული კრიტიკა სსრ კავშირის მხრივ, ჰამარშელდისა, რომელმაც ლაქის როლი შეასრულა კოლონიზატორების მიმართ.

ხაფრთხე, რომელიც კონგოს რესპუბლიკას ემუქრება, ნათქვამია განცხადებაში, ამავე დროს არის საფრთხე აფრიკის ხახელმწიფოთა დამოუკიდებლობისადმი, საფრთხე მშვიდობის საქმისადმი ატლანტიკასა და მთელ მსოფლიოში. კონგოს ამბები ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ სავსებით დასაბუთებული იყო კოლონიზატორების ლიკვიდაციის მოთხოვნები, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე. ხალხებს უფლება აქვთ მოთხოვონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუყოვნებლივ განახორციელოს გადამწყვეტი მოქმედება კოლონიური მოძალადეების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა: დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა და სხვა ხელმძღვანელები და ამავე დროს მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის მოღვაწეობის აღდგენისათვის; კონგოში მყოფი ჯარების ძალებით, რომლებიც იქ გაგზავნილია უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ განაიარაღონ მობუტუს ტერორისტული ბანდები; აზიის და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შექმნან სპეციალური კომისია ამ ბანდების დაფინანსებისა და იარაღით მომარაგების წყაროების გამოსარკვევად; გააძევონ კონგოდან ყველა ბელგიელი სამხედრო პირი და მოხელე. სსრ კავშირის მთავრობის წინადადებაა კონგოში არსებული მდგომარეობის საკითხი სასწრაფოდ იქნას განხილული უშიშროების საბჭოში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, მთელ შესაძლო მეგობრულ დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევს კონგოს ხალხს კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ხალხები დარწმუნებული არიან, რომ კონგოელთა ბრძოლა წარმატებით დამთავრდება, და კოლონიზატორები განდევნილ იქნებიან კონგოდან, ისე როგორც სხვა ქვეყნებიდან, რომლებსაც ჯერ კიდევ ადევთ კოლონიალიზმის ბორკილი.

# საქართველოს ზეიმობს აკაკის იუბილეს

## ჩვენი სიამაყე

**საქართველოს** მშრომელებმა როგორც კულტურის დიდი საყოველთაო სახალხო დღესასწაული აღნიშნეს თავიანთი დიდი ეროვნული პოეტის აკაკი წერეთლის — გასული საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, თავისი დროის ყველაზე პროგრესული სოციალური იდეების მგზნებარე მქადაგებლის, საშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერების უანგარო დამცველის — დაბადების 120 წლისთავი.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც 6 დეკემბერს გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. აქ მოვიდნენ თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეში ცოცხალ ყვავილებში არის დიდი პოეტის აკაკი წერეთლის უზარმაზარი პორტრეტი.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ვ. მუავანაძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ჯიბლაძე, ფ. დუმბაძე, ა. ინაური, მ. ლელაშვილი, გ. გეგეშიძე, ი. რთველიაშვილი, ე. შეკარდნაძე.**

საიუბილეო საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა, პოეტმა ი. აბაშიძემ.

მოხსენება აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა პროფესორმა **გ. ჯიბლაძემ.**

საღამოზე გამოვიდნენ: ქართველ მეცნიერთა სახელით — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით — უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე, აზერბაიჯანის სსრ მშრომელთა სახელით — აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მ. ჰუსეინი, სომხეთის სსრ მშრომელთა სახელით — კრიტიკოსი ვ. მნაცაკანიანი, საჩხერის რაიონის მშრომელთა სახელით — საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი გ. ყიფიანი, ყვარლის რაიონის მშრომელთა სახელით — საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ა. ავაზაშვილი, ქალაქ თბილისის წარმოების მუშაკთა სახელით — სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე, აფხაზეთის ასსრ მშრომელთა სახელით — აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტი ი. თარბა, აჭარის ასსრ მშრომელთა სახელით — საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე პოეტი ფ. ხალვაში, თბილისის მოსწავლეთა სახელით — ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აქტივისტი ნ. ჩაჩანიძე.

დამსწრეთ საინტერესო მოგონებები აკაკი წერეთელზე გაუზიარა დიდი მწერლის ძმისწულმა ვ. წერეთელმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

# მგზნებარე მომღერალი

**6 დეკემბერს** მთაწმინდაზე, საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, გაიმართა ქართველი ხალხის დიდი შვილის აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგზე შეიკრიბნენ უკვდავი პოეტის ბრწყინვალე ნიჭის პატივისმცემელნი, საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ს. ჭილაიას.

— 45 წლის წინათ ქართველმა ხალხმა ამ წმიდა მიწას მიაბარა ხალხის სანუკვარი ფიქრებისა და მოსწრაფებების მგზნებარე მომღერალი აკაკი წერეთელი. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ქადაგებდა ადამიანურ ბედნიერებას, ამღერებდა ადამიანურ ბედნიერებას, ამღერებდა ადამიანურ ბედნიერებას, ამღერ